საბაკალავრო პროგრამის დასახელება: არქეოლოგია / Archaeology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Archaeology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი ზვიად კვიციანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება : არქეოლოგია შეისწავლის საზოგადოების ისტორიას ადამიანთა სიცოცხლისა და საქმიანობის მატერიალური ნაშთების მიხედვით, იკვლევს ცალკეულ უძველეს საგნებს (შრომის იარაღები, ჭურჭელი, იარაღი, სამკაულები) და მთელ კომპლექსებს (ნასახლარები, განძები, სამაროვნები). მატერიალური ძეგლების ნაშთების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმ ეპოქების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის რესტავრაცია, რომლებიც წერილობით წყაროებში ნაკლებად ან საერთოდ არ არის აღწერილი.

პროგრამის მიზანი*:* პროგრამის მიზანია მოამზადოს არქეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების მცოდნე ბაკალავრი, რომელსაც შეეძლება კვალიფიციურად განსაზღვროს ნებისმიერი მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილება, მისი ზოგადი ადგილი საქართველოსა და მსოფლიო კულტურის სისტემაში; დაადგინოს კონკრეტული ნივთის და ძეგლის სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობა, მისი ზოგადი კულტურული ფასეულობა. სტუდენტები თეორიულად გაეცნობიან ცნობილ არქეოლოგიურ კულტურებს. სწავლის დროს სტუდენტებმა უნდა შეიძინონ არა მარტო თეორიული განათლება, არამედ პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რომ დამოუკიდებლად შეეძლოთ არქეოლოგიური ძეგლის შესწავლა, კულტურული ფენების ჩახატვა, ძეგლის ფიქსაცია, მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება, პუბლიკაციისათვის მომზადება და სამეცნიერო ნაშრომების შექმნა.

სწავლის შედეგი: საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მომართულებით:

- არქეოლოგიის საფუძვლების (ზოგადი არქეოლოგიის) ძირითადი პრინციპების საბაზისო ცოდნა;
- არქეოლოგიური კვლევის პროცესების ძირითადი ტენდენციების საბაზისო ცოდნა;
- მატერიალური კულტურის ნაშთის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება;
- სხვადასხვა სახის წყაროების მოპოვების (არქეოლოგიური ფონდები, არქივები, მუზეუმები) მათი დამუშავების, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა და დაკვირვების უნარი;
- ფაქტობრივი მასალის ანალიზის, პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი;
- შესაბამისი ცოდნის გამოყენებით, არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი;
- ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით (ანალიზი და სინთეზი);

- მონაცემთა ინტერპრეტაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს გეგმის შედგენის უნარი;
- პრიორიტეტების გამოყოფის უნარი, სოციალური უნარები, საკომუნიკაციო უნარი.

დასაქმების სფერო: ბაკალავრიატის კურსდამთავრებული მზადაა სიძველეთა პროფილის მქონე საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური საქმიანობისათვის. მას შეუძლია დასაქმდეს

- ექსპედიციებში სპეციალისტად.
- მუზეუმში სპეციალისტად.
- ბიბლიოთეკაში სპეციალისტად.
- მასმედიაში (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო რედაქციაში)
- არქეოლოგ-ექსპერტად.
- ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში (მათ შორის,
- სამთავრობო უწყებებში.) სიძველეთმცოდნის ექსპერტად.
- არქივებში სპეციალისტად.

სწავლის გაგრძელების საშუალება: კურსდამთავრებული მზად იქნება სურვილის შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მესამე სემესტრი.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო-კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში. უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტთა განკარგულებაშია რეგულარულად მოქმედი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა (არქეოლოგიური ძეგლები), ახლად მოპოვებული და მუდმივად შევსებადი არქეოლოგიური მასალა.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

major	minor
არქეოლოგია	ეთნოლოგია
	ისტორია
	ხელოვნების ისტორია და თეორია

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: არქეოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზვიად კვიციანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს არქეოლოგიის დარგში. სტუდენტები თეორიულად გაეცნობიან ცნობილ არქეოლოგიურ კულტურებს.

სწავლის შედეგი – დამატებითი სპეციალობის კურსდამთავრებულს შეუძლია მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პირველადი შეფასება. მას აქვს არქეოლოგიის საფუძვლების (ზოგადი არქეოლოგიის) ძირითადი პრინციპების საბაზისო და არქეოლოგიის ძირითადი ტენდენციების ცოდნა. იცნობს დარგში აპრობირებულ ტექნიკურ საშუალებებს.

დასაქმების სფეროები – დამატებითი სპეციალობის კურსდამთავრებულს შეუძლია სამუშაო შეასრულოს სიძველეთა პროფილის მქონე და აგრეთვე, საგანმანათლებლო (საბაზო საფეხურზე) სახელმწიფო და არა სახელმწიფო დაწესებულებებში. დასაქმდეს ტურიზმის სფეროში.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: IV სემესტრი